საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლელეგები

ლელეგები (Leleges), წინაბერძნული ტომი, რომელსაც იხსენიებს ჰომეროსი. ელინთა მომძლავრებამდე მათ ბალკანეთში ცენტრ. საბერძნეთის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ, თუმცა ძვ. წ. XIII ს-ში, ტროას ომის დროს, ისინი, სავარაუდოდ, მცირე აზიის დასით გადაასახლეს. ლ-ის ეპონიმი – ლელეგი – ლაკონიელთა მმართველების წინაპრად ითვლება. ლ-ს განსაკუთრებით ახლო ნათესაური დამოკიდებულება ჰქონდათ მეორე წინაბერძნ. ტომთან – კარიელებთან. ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულისათვის ლ., როგორც ჩანს, უკვე გადაშენებულან. თანამედროვე მეცნიერება მათ მიიჩნევს კონტინენტური საბერძნეთის უძველეს არაინდოევროპულ მოსახლეობად. ზოგიერთი მკვლევარი ლ-ის სახელწოდებაში გამოყოფს მრავლობითობის პრეფიქს ლე-ს და მას ხათურის (პროტეხეთურის) მრავლობითობის ლე პრეფიქსს უკავშირებს. საინტერესოა პარალელი სვანურ ლე-სთანაც, რ-საც თითქმის ანალოგიური ფუნქცია აქვს. თვით ლეგ (leg) ფუძეს ზოგიერთი მეცნიერი კავკ. ენებში „ადამიანის“, „კაცის“ მნიშვნელობით დადასტურებულ, მსგავსი ჟღერადობის ფუძეს უკავშირებს და ამას ლ-ის, კავკ. სამყაროსთან ნათესაობის დამადასტურებლად მიიჩნევს.

ლიტ.: გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი რ., „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970.

რ. გორდეზიანი